საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№15 (6390) 5 თებერვალი სამშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული თავდაცვის ფონდში

დღევანდელობამ, საქართველოს ძნელბედობამ თავდაცვის ფონდის გაძლიერება მოითხოვა, ყველა კეთილნების ადამიანი, ის, ვისაც გათავისებული აქვს თავისი ერის თავდაცვის საჭიროება, უკან არ დაიხევს, ყოველნაირად ეცდება თავისი წვლილი გაიღოს ამ დიდ და ეროვნული მნიშვნელობის საქმეში.

ამ დიდი საქმისათვის აქტიურობენ რაიონის განათლების მუშაკები, რაიონის სკოლების პედაგოგები—განათლების. მუშაკთა პროფრაიკომის მიერ [illegible] ფონდში 100 მანეთი გადარიცხა, ბარდნალის [illegible] სკოლის პედაგოგებმა 450 მანეთი გადარიცხეს, ლასურიაშის—160 მანეთი, ნასპერის არასრული საშუალო სკოლის—193 მანეთი.

თავდაცვის ფონდში ჩასარიცხავად 100—100 მანეთი გაიღეს აღვისა და ისუნდრის არასრული საშუალო სკოლების პედაგოგებმა.

სულ დღეისათვის აგრომრეწვბანკში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე რაიონის მშრომელთა მიერ 15. 544 მანეთია შეტანილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საკრებულოების არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღებისა და საკრებულოების არჩევნების დანიშვნის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საკრებულოების არჩევნების შესახებ“ სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

2. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საკრებულოების არჩევნები 1991 წლის 3 მარტის ნაცვლად დანიშნოს 31 მარტს.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ 1989 წლის 18 ნოემბრის კანონი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია

თბილისი. 1991 წლის 29 იანვარი.

ლამაზად შვილის გამზრდელი

... ჯერ კიდევ ადრე, რამდენიმე წლის წინ ჯაბელის მეცხოველეობის ფერმაში მხსულს წარმოუდგენლად მხიბლავდა ერთი ენერგიული, ვერცხლისწყალივით მოძრავი ქალი. განუწყვეტლივ ფუსფუსებდა, რაღაცას აკეთებდა, ვერასოდეს დაინახავდი უსაქმოდ.

ეს იყო ადრე, წლების წინ. წლეულს, ზუბის საშუალო სკოლაში სასწავლებლად მისულმა მეზობლად ნაცნობი სახე დავლანდე და ისე გამეხარდა, როგორც დიდი ხნის უნახავ ნაცნობთან შეხვედრა გაახარებს ხოლმე კაცს. ისევ ისეთი ენერგიული და დაუღლელი ვიხილე ქალბატონი თინა—მეუღლე, დედა, დიასახლისი.

თინა ჯინჭარაძე ზუბში ცხოვრობს, თეონულდივით ამაყმა სვანმა ლეჩხუმელთა რძლობა შეიფერა. გადიოდა დღეები, თვეები. მეუღლესთან, რუბენ ყურაშვილთან ერთად მუხლჩაუხრელად შრომობდა ქალბატონი თინა. შეუღლებიდან ერთი წლის თავზე დედობის სიხარული ეწვია: პირველი ვაჟიშვილი რევაზი დაიბადა, რევაზს რამაზი მოჰქვა, მერე კი ნანატრი დაიკო ლალიც შეემატა ბიჭებს. სამი შვილი ეცოტავათ და მამუკა და გოგიც შესძინეს და-ძმებს.

დაჭედილი ბედაურივით სწრაფად გარბოდნენ წლები, ივერცხლებოდა თმა, სახეზეც მრავლდებოდა ნაოჭები, ბავშვები კი იზრდებოდნენ თვალი, მოსიყვარულე ოჯახის ატმოსფეროში. ხუთივენი თითით საჩვენებელი გახდნენ. რამაზი ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტია, ლალი ბუღალტრის პროფესიას დაეუფლა, რევაზი მანქანების შემკეთებელია, თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე, პარალელურად მექანიზაციის ტექნიკუმში სწავლობს. მამუკა და გოგი კი ჯერაც მოსწავლეები არიან.

მალე ბებია გახდება ქალბატონი თინა. თითქოს გუშინ იყო, ლალი რომ დაიბადა და დღეს უკვე საკუთარი ოჯახი აქვს, იმერელთა რძალია.

—ბავშვები მოსიყვარულენი დამეზარდნენ, სანახევროდ თვითონვე დაზარდეს ერთმანეთი. თუ ხუთივენი უმაღლეს განათლებას ვერ მიიღებენ, ჯანმრთელები იყვნენ, შრომა უყვარდეთ, თავიანთი საქმე აკეთონ ჩუმად და უპრეტენზიოდ, სიკეთის თესვაში ეაეჯიბრონ ერთმანეთს. ამ სულისკვეთებით ვზრდიდით მე და ჩემი მეუღლე მათ,—ყვება ქალბატონი თინა.

ყველაფერს ასწრებს მრავალშვილიანი დედა: ამოდენა ოჯახის მოვლა-პატრონობას, საკარმიდამო თუ საზოგადოებრივ ზვარსა თუ სასიმინდე ყანაში ტრიალებს.

—ქალბატონო თინა, რას უსურვებთ ქართველ ახალგაზრდობას?—ვკითხე საუბრის დასასრულს.

—უპირველეს ყოვლისა, მშვიდობიან, უღრუბლო ზეცას, მზეგრძელობას, დღეგრძელობას, თავისუფალ საქართველოში ცხოვრებას—იყო პასუხი.

გვიმრავლოს თინა ჯინჭარაძის მსგავსი ქალები. ჭირში და ლხინში გამოწრთობილნი, ლამაზად შვილის აღმზრდელნი, რომელთაც კარგად აქვთ დასახული და გათვითცნობიერებული, რომ გზა ხსნისა ერის სიმრავლეა.

ნანა აკოგიძე.

რაიონის მაჯისცემა

მამულს გული უპირველეს ყოვლისა

ამ დაძაბულ დროში ხშირად ვწერთ და ვლაპარაკობთ, რომ მხოლოდ სიკეთე, ერთმანეთის თანადგომა და ქველმოქმედებაა ჩვენი ერის ყველაზე დიდი შემწე და მხსნელი. სამაჩაბლოა ახლა ჩვენი მტკივნეული წერტილი. აქ დაღვრილი სისხლი გვიხმობს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა 200 გრამი სისხლი მაინც გავიღოთ.

31 იანვარს, რაისაავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში მოამზადეს რა აპარატები, პირველ რიგში ახალგაზრდა ექიმებმა—გია სანიკიძემ, ნინო ახვლედიანმა, მაია გოქაძემ გაიღეს სისხლი, შემდეგ კი რაისაავადმყოფოს მედდებმა და სანიტრებმა—ლილი კენჭაძემ, ლეილა ვაწაძემ, დალი გუგავამ, ხახო ჭაბუკიანმა, გულო ომანაძემ, ელისო ჭაბუკიანმა, დინარა გეგეჭკორმა, დინარა მდივანმა და სხვებმა.

სულ ამ დღეს სისხლის გადასხმის რესპუბლიკურ სადგურს ცაგერის რაისაავადმყოფოდან 2200 გრამი სისხლი გაეგზავნა.

სოფელი მადლიერია

აგერ უკვე ერთი კვირაა, რაც თოვლის საბურველშია გახვეული რაიონის მაღალმთიანი სოფლები. თოვლის საფარი განსაკუთრებით მაღალია ოფიტარის, ოყურეშის. მახურის, ისუნდრისა და ზუბის მიდამოებში.

27 იანვარს მოსულმა თოვლმა აავსო სოფელ ოყურეშის სასოფლო გზები, გაძნელდა ფეხით მიმოსვლა. მოსახლეობა მშველელს ეძებდა, ამ დროს საგზაო სამმართველოს (უფროსი ო. გიორგობიანი) მიერ გამოყოფილი მაშველი რაზმი, რომელსაც ვ. ბენიძე ხელმძღვანელობდა, თავისი ტექნიკით გაჩნდა სოფელში. ისინი ცხაკურის მხრიდან შევიდნენ სოფელში. კარგად იშრომა ტრაქტორისტმა გოგი ბენდელიანმა, რომელმაც თოვლის საფარისაგან გაწმინდა და გაასუფთავა გზები სოფლის თავიდან სოფლის ბოლომდე და აქაურ მშრომელთა მადლიერება დაიმსახურა.

ვ. ყურაშვილი.

გეგმა—გადაჭარბებით

რესპუბლიკის გარდამავალი პერიოდის ამჟამინდელ ეტაპზე, როგორც არასდროს, მთავარი მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობაა.

მიუხედავად სოფელში შექმნილი სიძნელეებისა, რაიონის სააფთიაქო ქსელის მუშაკებმა, როგორც ყოველთვის, ახალი წლის პირველი თვის გეგმის შესრულებასაც წარმატებით გაართვეს თავი.

იანვრის თვეში საცალო საქონელბრუნვის გეგმა 10 ათას მანეთს ითვალისწინებდა, ფაქტიურად კი რაიონის მშრომელებს 10400 მანეთის მომსახურება გაეწია.

მათ შორის ცენტრალურმა აფთიაქმა გეგმური 6900 მანეთის ნაცვლად 7960 მანეთის სამედიცინო სამკურნალო საშუალებები მიაწოდა მოსახლეობას, რითაც იანვრის გეგმა 115 პროცენტით გაანაღდა.

მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება—აი, დევიზი ფარმაცევტთა მომავალი საქმიანობისა.

სისხლის სამძებრო ქრონიკა

1991 წლის 30 იანვარს 18 საათსა და 30 წუთზე ცაგერის რაისაავადმყოფოდან მილიციის განყოფილებას შეატყობინეს, რომ მიყვანილ იქნა ცეცხლმსროლელი იარაღით გულმკერდის არეში დაჭრილი მოქალაქე გოჩა ანზორის ძე ბენიძე, რომელიც მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

საქმეს იძიებს რაიონის პროკურატურა.

* * *

1991 წლის 31 იანვარს ნაშუადღამევს დაახლოებით 3—5 საათამდე დაუდგენელი პირების მიერ გატეხილ იქნა ცაგერის რაიკოოპერატივის სამრეწველო საქონლის ცენტრალური საწყობი, საიდანაც მოიპარეს 3 ცალი საქსოვი დაზგა. 8500 მანეთად ღირებული.

გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილება.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲘᲡᲔᲕ ᲡᲐᲛᲐᲩᲐᲑᲚᲝᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲗ

ჩვენი ფიქრი და გონება ისევ სამაჩაბლოს დასტრიალებს. არ ნელდება ტკივილი, უფრო და უფრო ღრმავდება ისტორიულად შესისხლხორცებულ ქართველ და ოს ერებს შორის გაჩენილი უფსკრული.

საწუხარი დიდია, დავიღალეთ, მაგრამ ვინ გვაკმარა, ქართული მილიციის ნაწილები დღე და ღამ სიკვდილს ჩახუტერიან თვალებში რათა დაიცვან საკუთარი ბუდე, ქართული მიწა. აიკსო მოთნიმების ფიალა, მაგრამ მაინც აწვებიან ნერვებს, ცდილობენ ნაკლებად სისხლით როგორმე ხელი შეუწყონ ვითარების სტაბილიზაციას. ამასობაში რამდენი დაეცა უმიზნო სისხლისღვრაში, რამდენი ქართველი აიყარა მამა-პაპის საძვალეებიდან შეიძლება მოთმენა იმისა რომ ქართველს საქართველოში ლტოლვილი ერქვას?

ამ დღეებში შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილების კიდევ ერთი ჯგუფი დაბრუნდა ოსეთიდან.

ჩვენი კორესპოდენტი შეხვდა ჯგუფის ერთ-ერთ წევრს ბესიკ კოპალიანს. ბევრი ალაპარაკა ამ ახალგაზრდა კაცის ვაჟკაცობამ. 4 იანვრიდან მოყოლებული, როცა პირველი შესვლა დაიწყო ოსეთში, იგი უკან არ მობრუნებულა. ერთხელ მოტყუებით წამოუყვანიათ თითქოსდა ძმის ავადმყოფობის მიზეზით და მეორე დღესვე უკან გაბრუნებულა.

არ ვაჭარბებთ. ბესიკი მართლაც გამორჩეული ახალგაზრდაა, მაგრამ ამჯერად მის პიროვნებაზე მეტად ჩვენცა, და დარწმუნებული ვართ, მასაც, ოსეთში მიმდინარე მოვლენები უფრო გვაღელვებს, გვაფორიაქებს. ამიტომ რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

ბესიკ: ჩვენი მკითხველი იცნობს ინტერვიუს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილესთან ალეკო ჩიქოვანთან. ისედაც გარკვეულია მიმდინარე მოვლენებში. გვაინტერესებს ბოლო დღეებში არსებული ვითარება.

ჩვენი მორიგი 7 კაციანი ჯგუფი 22 იანვარს წავედით. რაიონიდან დილაადრიან გავედით, რომ დღის შუქით შევსულიყავით ცხინვალში. მაგრამ წინაღამით მოთოვა, გაგვიჭირდა გელავერის გადალახვა და ამიტომ ცხინვალს ღამით მივაღწიეთ. არა და იმ დღეს თითქოს რაღაც წინგადადგმული ნაბიჯი იყო შეთანხმება—სტაბილიზაციის გზაზე. ცხინვალის შესასვლელში, ჩვენს სიმაგრესთან ავტოინსპექციის პუნქტთან აგვიტეხეს სროლა. 4 საათი დავყავით სროლის ქვეშ. სასწრაფოდ დავტოვეთ მანქანები და ბეტონის კედლების ბარიკადებს ამოვეფარეთ, არ გასულა წუთიც და პროდუქტებით სავსე ჩვენი ავტობუსის (მძღოლი ბუდუ ომანაძე) საჭე ტყვიამ შუა გულში გახვრიტა, მიხეილ ცვარიანის შინელიცა და ფანჯრებიც დაცხრილეს. სროლა მთელი ღამე გაგრძელდა. ჩვენც ასე ძირს გაწოლილებმა გავატარეთ ის ღამე, მაგრამ, როგორც ხედავთ გადავრჩით.

ოსები, როგორც ჩვენთვის ცნობილია, კარგად არიან შეიარაღებული, ხელსაყრელი პოზიციაც აქვთ. ქართულ მილიციას უჭირს, იარაღიც სამათხოვრო გაქვთ. მით უფრო, სიმართლე უნდა ითქვას, ბრძოლის გამოცდილებაც არ არის.

მართალია, ოსებმა დიდძალი იარაღი მიიღეს. ცენტრიდან და ჩრდილო ოსეთიდან მართავენ მათ. იმასაც კი კადრულობენ, რომ კუბოთი შეაქვთ იარაღი ცხინვალსა და ჯავაში. ჩემის აზრით შეცდომა იყო, რომ შარშან მილიციის ორგანოებიდან იარაღი ამოიღეს და თითქმის ცარიელ-ტარიელი დაგეტოვეს. არადა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ ომი, ორგანიზებული ომი, მაინც სხვაა. ასეთ პარტიზანულ პირობებში კი გაცილებით რთულია ბრძოლა, შენობებიდან, ფანჯრებიდან, მანქანებიდან გესვრიან დღისით და ღამით, საიდანაც უნდათ, როცა უნდათ.—ყოველ წუთში მოელი სიკვდილს. არ დაგიმალავთ, თქვენ ახსენეთ, მილიციას ბრძოლის გამოცდილება არა აქვსო. მართალი გითხრათ, მე ცალკე ნტრის მეშინია და ცალკე უნებლიედ, უცოდინარობით გასროლილი ტყვიის. სხვანაირად არ გამიგოთ, მაგრამ ავღანეთში ბრძოლაგამოვლილს მაქვს ბრძოლისა და თავდაცვის გარკვეული პრაქტიკა და ამდენად ვამბობ ამას.

პირველად, 4 იანვარს, როცა შევედით სამაჩაბლოში, ოსები არ იყვნენ მზა ნდგომარეობაში. მაშინვე რომ მოგვეხდინა პარალიზება, ამით ისხვერპლსაც ავიცდენდით. მე გეტყვით გულახდილად დღეს მილიციის რეპუტაციაზე ბევრს ლაპარაკობენ, სახოგადოება აღშფოთებულია რესპუბლიკასა თუ რაიონში კატასტროფულად მზარდი დანაშაულობებით. ამაში გეთანხმებით, მაგრამ მერწმუნეთ ერთ რანეში—ოსეთში შესული ყოველი ქართველი მილიციელი ნაღდი პატრიოტია, არც ერთი უკანდახევი არ არის. ადამიანები ვართ და ხანდახან ისე დავიმუხტებით, ისე დაგვეჭიმება მოთმინების ძაფი, რომ მინისტრს კიდეც შევკადრეთ: ან გაგვიშვით და ან აღარ გემორჩილებითო. ასეა, მოუთმენელია როცა შენს მიწაზე შენ გკლავენ, შენ გესვრიან, ცეცხლს გიკიდებენ.

თქვენ მინისტრი ახსენეთ. ბუნებრივია, იგი დღენიადაგ ოსეთშია. რა აზრისა ხართ მის პიროვნებაზე?

ნაღდი, გულიანი, თავმდაბალი ახალგაზრდა კაცია. მხოლოდ, გვერდში დგომა უნდა, პირადადაც გვესაუბრა. ჩემი ცაგერლების ვაჟკაცობა შევიტყვეო. აბა, თქვენ იცითო, ბეჟოლიებოო გაგვეხუმრა. გვერდში დგომა ვახსენე. პირველ რიგში საჭიროა მილიციის რეორგანიზაცია და რატომ, ეს ყველან ვიცით. მაგრამ საზოგადოებას რაღა უშველის—დღე არ გავა ქურდობის, ყაჩაღობის მკვლელობის გარეშე.

გვაინტერესებს ოსი მოსახლეობის უმრავლესობის პოზიცია.

ჩვენ ვხვდებით ოსებსაც და ქართველებსაც, შევდივართ ოჯახებში, ვიღებთ იარაღს. თვალწინ ნიდგას ერთი ოსი ოჯახის დიასახლისი: იტირა, ცრემლი ღვარა იმ ქალბატონმა. მრცხვენია თქვენი შეხედვა, ჩვენ რა დავაშავეთ, ინ ერთეულ გარეწარ ხელმძღვანელებს მოჰკითხეთ, ასე რომ გადაგვკიდეს ერთმანეთსო.

ასეა. ნოსახლეობის 80 პროცენტი მუქარისა და ზეგავლენის ქვეშაა. იმ ქალმაც გვითხრა, თუ შეიტყვეს თქვენ გამოველაპარაკეთ, ამ საღამოსვე ანგარიშს გაგვისწორებენო.

ყველა ტირის, შეძრწუნებულია. ქალაქი დაცლილია. ცხინვალში არ მუშაობს არც ერთი საწარმო და ორგანიზაცია.

24-ში პარტიის საქალაქო კომიტეტის შენობა მოჰყვა ნასიერებულ ცეცხლში. წინა ღამით ჩვენ განკარგულება მივიღეთ დაგვეცალა პოსტები და უკან დაგვეხია. სოფელ ეღვრეკისში გავატარეთ ის ღამე, იქ დავიჭირეთ ორი გრანატებით შეიარაღებული ოსი. დილით დაღლილ-დაქანცულს ჩვენს პოსტზე დაბრუნებულს ჩანეძინა. ზურაბ თუთისანი და ჯანიკო ახვლედიანი კი გაპარულან. საათნახევარი ისროდნენ თურმე ბიჭები, მერწმუნეთ საოცარი გრძნობაა სამშობლოს, მისი ღირსების დაცვა, ზემოთაც ვთქვი გაქრა შიში, სიმხდალე.

დღეს მთელი საქართველო თქვენს გვერდშია, ხომ არ გიჭირთ საჭმელ-სასმელზე. სხვა მხრივ.

კარგი გამახსენეთ—გვიჭირს კი არა, პირიქით იმდენი სურსათი ვიგულისხმეთ, სანოვაგე, სითბო და თან დაგაყენა გაგვატანეს, რომ მიჭირს მადლიერების გამოხატვა. თითქმის არ დარჩენილა ორგანიზაციაც, ტრანსპორტი, მხარში, რომ არ ამოგვდგომოდა. [illegible] შეასრულო ეროვნული ვალი, როცა თანამემამულენი ასეთი სტრიქონებით გაცილებენ? აი, თან მაქვს რამდენიმე ბარათი:

„უდიდესი გაჭირვების ჟამს თქვენ ხართ ჩვენი სიცოცხლის დამცველნი, საქართველოს გადამრჩენელნი, აბა თქვენ იცით მამულიშვილნო, დავითისა და თამარის მემკვიდრენო. დარწმუნებული ვართ სიცოცხლესაც არავინ დაზოგავთ საქართველოს გადასარჩენად“.

ალპანის სამკერვალო ფაბრიკის სახელით დარიკო ფრუიძე.

„ძვირფასო თანამებამულენო! გისურვებთ ქართველი ერის სამართლიან ბრძოლაში გამარჯვებას. ცაგერის შემნახველი სალაროს კოლექტივი მუდამ თქვენს გვერდითაა.“

„მამულის დამცველნო, მიიღეთ უსახელოელი პედაგოგების, საექიმო უბნისა და სასოფლო საბჭოს ეს მცირედი ყურადღება თანადგომის ნიშნად.

გვიგულვეთ თქვენთან სამართლიან ბრძოლაში, გფარავდეთ ქართველი დედების ლოცვა კურთხევა.

მტერზე გაგიმარჯვდეთ, მშვიდობით და ჯანრთელი დაგვიბრუნდით“.

„გიგზავნით ჩემს პატარა მოსაკითხს საირმიდან. ალპანის საშუალო სკოლის მეჯოე კლასის მოსწავლე ნანა ხეცურიანი“.

ბევრია ასეთი ბარათი. ნინდა ჩემი კოლეგების სახელით ყველას საჯაროდ ხმამაღლა ვუთხრა მადლობა.

საუბარი გაგვიგრძელდა. ბოდიშს მოგიხდით, ხვალ ისევ ნივემგზავრებით. რა ვიცი აბა, ან გავიმარჯვებთ, ან...

* * *

გავიმარჯვებთ. სიმართლე უსათუოდ გაიმარჯვებს!

ᲡᲐᲣᲜᲯᲔ

ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲝᲑᲐᲗᲨᲝᲠᲘᲡ, მსოფლიოში დღეს მუზეუმები ერთ-ერთ პირველ ადგილზე არიან. ისინი სხვა სანახაობისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ხალხში მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას პოპულარული ფორმით ატარებენ.

დღეს დედამიწაზე 20.000 სახელმწიფო მუზეუმია, მათ შორის 2000-ზე მეტი ამერიკის შეერთებულ შტატებშია და იგი პირველ ადგილზეა, მეორე ადგილზე საბჭოთა კავშირია. ამასთან საზოგადოებრივ საწყისებზე არსებობს ათიათასობით მუზეუმი, დღეს ჩვენს ქვეყანაში 30.000-ზე მეტი მარტო სასკოლო მუზეუმია.

ნეზეუმებში დაგროვდა მილიონობით ნივთი და პირველწყარო, ხელოვნების ძეგლი და სხვა სახის ექსპონატები—ყველა მათგანს საკუთარი ბიოგრაფია აქვს. მუზეუმებში მათი დაუნჯების ბევრი საინტერესო ფაქტია ცნობილი, რაც დაკავშირებულია გაბედული, საქმისმოყვარე ადამიანების მოღვაწეობასთან.

მთელი ქართველი ხალხისთვის ცნობილია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი. მან ფეხით შემოიარა მთელი საქართველოს ყოველ წლებში, როცა ზემოდან მითითებით ეკლესიები ინგრეოდა, იწვებოდა და ისპობოდა საეკლესიო ქონება, ასეთ ვითარებაში გამოჩნდნენ მამაცი ადამიანები

ᲐᲡᲔᲗ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲐ

კუთხე-კუნჭული. შეისწავლა თურქეთში მდებარე საქართველო და დაღუპვა-განადგურებას გადაარჩინა ათიათასობით ისტორიული ძეგლი, ნივთი თუ წერილობითი დოკუმენტი, ხელნაწერების ნიმუში და სხვა, ფოტოებში ასახა ყველა ისინი.

ე. თაყაიშვილმა 1910 წელს ლეჩხუმში მოგზაურობის დროს აღწერა 1000-მდე ნივთი, რომელთა უმრავლესობა დღეს დაკარგულია, მაგრამ აღწერის მასალებით შეიძლება მათზე მსჯელობა. ასეთ მოამაგეს ადვილად შეეძლო, მის მიერ შეგროვილ ნასალებზე კაპიტალური შრომები შეექმნა, მაგრამ იგი ამბობდა—„ამას შემდგომში სხვები გააკეთებენ. ახლა მთავარია, რაც შეიძლება მეტი ნივთი გადავარჩინოთ დაღუპვასო“.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ ნაბიჯებიდან ეროვნული ხელოვნების ძეგლთა ეროვნულ საკუთრებად გამოცხადებამ, ეროვნული ხელოვნების ძეგლთა ინვენტარიზაციამ, ეროვნული ხელოვნების ძეგლთა ინსტიტუტის ორგანიზაციამ, ეროვნული ხელოვნების ძეგლთა ინსტიტუტის ბაზაზე ეროვნული ხელოვნების ინსტიტუტის ორგანიზაციამ, ეროვნული ხელოვნების

ჯანდაცვა

მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა ბევრი საჭირბოროტო პრობლემა წარმოაჩინა. დღევანდელ პირობებში, როდესაც ასე გართულებულია ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, როცა ხალხს უაღრესად დაძაბულ და ნერვულ ატმოსფეროში უხდება ცხოვრება, შრომა, შემოქმედება, სახალხო მეურნეობის ყველა დარგი და განსაკუთრებით მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურები უფრო მეტად უნდა ზრუნავდნენ ადამიანებზე, რადგან ადამიანია პლანეტის სიცოცხლე, ყოველივეს შემოქმედი ამ ქვეყნად.

ჯანმრთელობის დაცვა საერთო სახელმწიფო საქმეა. არა მარტო მედიცინის მუშაკი, არამედ ყველა მოვალეა დიდი ყურადღება დაუთმოს ჯანმრთელობის დაცვის პრობლემათა წარმატებით გადაჭრას, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას.

ჩვენი რაიონული საავადმყოფოს, სოფლის საავადმყოფოებისა და საექიმო უბნების კოლექტივებში გაცხოველებული კამათი და მსჯელობაა ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის პრობლემებზე. პრობლემები კი ბევრზე ბევრია და მათი გადაჭრის გზები არც თუ ისე იოლად საპოვნია, მაგრამ აუცილებელი კი არის, რომ ეს დღეს მოხდეს, რადგან მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ბევრი ნეგატიური მოვლენა დაგროვდა, დღეს მწვავედ შეიგრძნობა ეს მოვლენები და გასაკვირი არ არის, რომ სამედიცინო სამსახურის მუშაკები ეძებენ გზებს ჩიხიდან გამოსასვლელად

ამჟამად ცაგერის რაიონის მოსახლეობას ემსახურება 1 ცენტრალური, 2 საუბნო საავადმყოფო, 12 საექიმო ამბულატორია, სანეპიდსადგური, 2 ჯანპუნქტი, 30 საფერშლო საბებიო პუნქტი, ერთი ცენტრალური და 6 საუბნო აფთიაქი. მოსახლეობას სამედიცინო მომსახურებას უწევს 56 ექიმი და 248 მედიცინის და.

ჩვენი რაიონის ექიმები და მედდები დიდი პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერად ემსახურებიან ჯანმრთელობის დაცვის რთულ, მაგრამ ამავე დროს მეტად საპატიო საქმეს. ძნინ არ ზოგავენ თავიანთ ცოდნასა და ენერგიას იმისათვის, რომ მშრომელებს გაუხანგრძლივონ სიცოცხლე. წარმატებები რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში გვაქვს, მაგრამ მიღწეული საკმარისი არ არის, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სრულყოფის საქმეში.

ჩვენვე უნდა მივხედოთ

სამედიცინო დარგის მუშაკების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ და განვავითაროთ ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი პრინციპი— პროფილაქტიკური მუშაობის მეთოდები დაავადებათა თავიდან ასაცილებლად. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გაფართოებას და განვითარებას, ვცდილობთ ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევების დანერგვას.

რაიონული საავადმყოფო ტიპიური ნაგებობაა, იგი თავდაპირველად გათვალისწინებული იყო 50 საწოლზე, რომელიც ელემენტარულად ვერ აკმაყოფილებდა რაიონის მოსახლეობის მოთხოვნებს და გადაკეთდა 100 საწოლზე, რის გამოც შეიზღუდა განყოფილებების ოთახები, პრიმიტიულ, ვიწრო ოთახშია ლაბორატორია და სხვა სათავსოები.

ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა სამედიცინო დაწესებულებების საჭირო ხელსაწყოებით, აპარატურითა და ინვენტარით აღჭურვისათვის. რაისაავადმყოფოში კარგად მოეწყო რენტგენის კაბინეტი, დამონტაჟდა ფლუოროგრაფიული აპარატი, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა რენტგენოლოგიური სამსახური შეძენილ იქნა პალატის მოძრავი რენტგენოაპარატი, რომლითაც მძიმე ავადმყოფებს ადგილზე უტარდებათ გადაღება.

წლების მანძილზე რაისაავადმყოფოში არ გვყავდა ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი, რის გამოც ბევრი შეფერხებები იყო, ამჟამად გვყავს აღნიშნული სპეციალისტი და ალარ ფერხდება რთული ოპერაციების გაკეთება. რაისაავადმყოფოს წყლით უზრუნველყოფამ, ცენტრალური გათბობის სისტემის წესრიგში მოყვანამ ნაყოფიერი შრომის პირობები შეუქმნა მედიცინის მუშაკებს, მკვეთრად გაუმჯობესა ავადმყოფთა მოვლის პირობები. მიუხედავად სიძნელეებისა კმაყოფილი ვართ რაიკოოპერატივის მიერ კვების პროდუქტებით მომარაგებისა. ყოველთვის გვაქვს კარაქი, შაქარი, რძე, კარტოფილი, ხორცი, ხახვი, ხილის წვენები და სხვა.

რაისაავადმყოფოს, ლაჯანისა და ალპანის საუბნო საავადმყოფოებს სამკურნალო საშუალებებით კარგად ამარაგებს ცაგერის ცენტრალური აფთიაქი.

ბოლო პერიოდში მიღწეულია დადებითი გარდატეხა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში. საავადმყოფოებში რაიონულ პოლიკლინიკაში გაუმჯობესდა ავადმყოფთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საქმე. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ომის ინვალიდთა და მონაწილეთა მკურნალობას, დედათა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურების საქმეს, როგორც საავადმყოფოებში, ასევე საექიმო უბნებში. ჩვენს მიერ ყოველდღიურ კონტროლზეა აყვანილი 0-1 წლამდე ბავშვთა ავადობის ყველა შემთხვევა. საბედნიეროდ, გასულ წელს არ გვქონია 0÷1 წლამდე ასაკის ბავშვის გარდაცვალების შემთხვევა.

უფრო ორგანიზებული და სისტემატური ხასიათი მიიღო მედმუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებამ. ექიმთა და სამედიცინო პერსონალის აბსოლუტურმა უმრავლესობამ გაიარა ატესტაცია.

სამწუხაროდ, ჩვენს მუშაობაში არის ხარვეზები და ნაკლოვანებები. მიუხედავად საკადრო პოლიტიკის დადებითად გადაწყვეტისა, რენტგენოლოგიური სამსახური იყო და კვლავ რჩება სამედიცინო სამსახურის მთავარ პრობლემად. რაიონულ ცენტრალურ საავადმყოფოში არ გვყავს რენტგენოლოგი. ამ სამსახურს ასრულებენ შემთავსებელი ექიმები. გვაკლია დიაგნოსტიკური საშუალებები ეხოსკოპია, ენდოსკოპია, ვერ ვაკეთებთ ისეთ გამოკვლევებს, როგორიც არის ოსტოლოგრაფია, რეოვაზოგრაფია. არ კეთდება სისხლისა და შარდის ყველა კლინიკური ანალიზი.

რაისაავადმყოფოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ცუდი მდგომარეობის გამოსწორებისათვის დაიწყო რაიონულ ცენტრალური საავადმყოფოს ძირითად კორპუსზე დამატებითი ხუთსართულიანი კორპუსის მიშენებითი სამუშაოები, უკვე აშენებულია 2 სართული, მაგრამ მშენებლობა მეტისმეტად ჭიანურდება. ამ მშენებლობის დამთავრება, შენობის ექსპლოატაციაში გაშვება არსებითად გარდაქმნის საავადმყოფოს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და დიდად შეუწყობს ხელს ავადმყოფთა მკურნალობის გაუმჯობესებას.

არადამაკმაყოფილებელია სტომატოლოგიური კაბინეტის, სანეპიდსადგურის და ზოგიერთი სხვა სამედიცინო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სანიტარულ-ტექნიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ და სამკურნალო პროფილაქტიკურ პარამეტრებს. [illegible] ავადმყოფოზე ღამატებითი კორპუსის მიშენ[illegible] არა მარტო საავადმყოფოს გაფართოების საკითხს, არამედ გაუმჯობესდებოდა რაიპოლიკლინიკის, კბილის კაბინეტისა და სანეპიდსადგურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც.

პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ყველაფერს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის შეზღუდულობას, სამედიცინო საშუალებების ნაკლებობას ვერ დავაბრალებთ. არცთუ იშვიათია დისციპლინა ელი დარღვევები. ზოგჯერ ჩვენი დაუდევრობით, ზოგიერთთა დაბალი კვალიფიკაციით ვერ ვიყენებთ იმ მინიმალურ შესაძლებლობებსაც კი, რაც ჩვენს ხელთაა. გაქტიურებას მოითხოვს ადმინისტრაციულ საქმიანობაში სამკურნალო, საორგანიზაციო და სამეურნეო დარგები.

ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დაყენების საქმეში ბევრი პრობლემა გვაქვს, პრობლემებს ჩვენვე უნდა მივხედოთ, რადგან მათ ჩვენ უკეთესად ვხედავთ, ვიდრე სხვა. უახლეს მომავალში შევადგენთ ჩვენი რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამას და მუშაობას ამ პროგრამის მიხედვით წარვმართავთ.

მურმან თოთაძე,
ცაგერის რაიონის და რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმი.

საქართველოს რესპუბლიკა.

უახლოეს ხანში პირველ დამსვენებლებს მიიღებს გაგრის მეცხრუსეობის ნეურნეობის დასასვენებელი სახლი—პროფილაქტორიუმის „მზიურის“ ახალი 8—სართულიანი კორპუსი. (სურათზე). აქ ერთდროულად შეებულება შეიძლება გაატაროს 200-მა კაცმა.

ი. ჭიჭინეიძის ფოტო.
(საკადესი).

დაღუპვას...

შვებულია 1200 წელს, თამარ მეფის დროს, რომელთაც აქვთ არაბულ-ენოვანი საინტერესო წარწერები: „დედოფალი დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ ასული გიორგისა მესია თაყვანისმცემლისა“.

გ. ბოჭორიძემ ჩვენს მხარეში, ლეჩხუმში მივლინების დროს (1924 წ) სოფელ თაბორში, ეკლესიის ნანგრევებში იპოვა ხელნაწერი სახარება. მას დღეს თაბორის ოთხთავი ეწოდება და დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში. იგი 353 ეტრატის 21X16 სანტიმეტრი ზომის ფურცელს შეიცავს. ჩასმულია ტყავის ტვიფრულ ხის ყდაში. ბერძნულიდან ნათარგმნია ქართულად და დაწერილია ლამაზი ნუსხახუცური ოქროსფერი ასოებით. სათაურებს აქვს სხვადასხვა სახის ძველი ქართული ორნამენტები ოქროს წყლის მელნით ნაფერი და სხვა. ამ სახარების აღწერილობანი უკვე გამოქვეყნებულია, რაც შეეხება მის მეცნიერულ შესწავლას—მომავლის საქმეა.

ამ წიგნის გადამწერის მინაწერი ანდერძი გვაცნობს, რომ თაბორის ოთხთავი გადაწერილია საზღვარგარეთის ქართული კულტურის ცენტრში ანტიოქიის ახლოს შავ მთაზე 1060 წელს ბასილი თორელის ხელით.

გ. ბოჭორიძეს ბევრი შრომა და ძიება დასჭირდა ცნობილი ლაჯობის (ოყურეში) ბრინჯაოს განძის გადასარჩენად. მან ეს ნივთები მოაკვლია ერისტო ნიკოს ძე არჯევანიძის (ასლანიკაშვილის) ოჯახში. იგი უპოვნია ერისტოს მამას ნიკოს ტყის გაჩეხვისა და ყორის აღების დროს ე. წ. „ლაჯობის ძირში“. ერისტოსათვის გიორგის 10 მანეთი საკუთარი ჯიბის ფული მიუცია, დანარჩენი 40 მანეთის გამოგზავნას თბილისიდან შეპირებია. ეს თანხა რომ ეშოვნა, მეცნიერს საგანგებო განცხადებით მიუმართავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილისთვის. საბედნიეროდ ამ განცხადებამ შემოგვინახა ეს ფაქტი. დღეს კი მსოფლიოშია ცნობილი ლაჯობის ეს განძი, როგორც ბრინჯაოს დამუშავების სწორუპოვარი ნიმუში, მისი ასაკი 2800 წელია.

ამ განძის შესწავლისას მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ ამ კოლექციას რაღაც აკლია. ჩვენს მიერ იმავე არჯევანიძის ოჯახში მოძებნილი იქნა ან განძის ნაწილი, იგი იპოვა ოთარ არჯევანიძემ სახლის დაშლის დროს—შედგება 4 სახის ბრინჯაოს ნივთისაგან, რაზედაც 10 წლის წინ ამავე გაზეთში მცირე ნარკვევი გამოვაქვეყნეთ.

გ. ბოჭორიძემ დაღუპვა-განადგურებას გადაარჩინა აგრეთვე ცაგერის ეკლესიის ვაზის ხის კარები, 973 წელს ვერცხლის წარწერებიანი უნიკალური ჯვარი, მეათე საუკუნის ცაგერის მადონა, ხვამლის მთის ეკლესიის ასომთავრული წარწერიანი მეათე საუკუნის ქვა, რომელიც გვაცნობს მანანდე უცნობ სვანთა ერისთავს იოანე ლიპარიძეს და სხვა.

გ. ბოჭორიძემ საკუთარი ფულით დაამზადა ცაგერის ეკლესიის კარები ვაზის კარების შესაცვლელად, მაგრამ ხელისუფლები არ ანებობდნენ ვაზის კარების ჩამოხსნას, ნან ეს წინააღმდეგობაც დასძლია—ვაზის კარები თბილისის მუზეუმს ჩააბარა და იქ ინახება დღესაც.

სხვადასხვა ნივთებისა და ექსპონატების შეგროვებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პირველ დირექტორს ვარლამ მახარობლიძეს, მან დაღუპვას გადაარჩინა დღეს კარგად ცნობილი ცაგერას ბრინჯაოს განძი. ვარლამმა გაიგო, რომ სოფელ ზოგიმს 1937 წლის შემოდგომაზე მიწის პლანტაჟის დროს გლეხებმა იპოვეს ნივთები და გაინაწილეს. 1938 წელს კი იანვრიდან ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მუშაობას შეუდგა. გაზაფხულზე ვარლამმა კითხვა-კითხვით მოახერხა ყველა ნაპოვნი ნივთის მიკვლევა და შეგროვება (40 ცალი) ნათ შორის არის მუზეუმში შემოსული პირველი უნიკალური ექსპონატი—ბრინჯაოს მხედარი, ეგვიპტურ-ხეთური ხელოვნების შერეული ნიმუში, რომლის ასაკი 3000 წელია. მანვე გადაარჩინა დიდი ზომის ფერადი ნაქსოვ-ნაქარგი, ერეკლე II-ის დის „ოდიშ-ლეჩხუმის დედოფლის“ ელისაბედისა, ვარლამმა გაიგო იგი ეკლესიიდან საკუთარ სახლში გადაუტანია ვინმე მეშველიანს.

ვარლამი შეუთანხმდა რაიონის ხელმძღვანელობას ეს კაცი ავუვანა მუზეუმის ტექნიკურ მუშაკად. ორთავე სოფლებში ერთად დადიოდა და აგროვებდნენ სამუზეუმო ნივთებს. გლეხი ხედავდა, რომ კარგი საქმე კეთდებოდა და ერთი წელიც **არ იყო გასული,** რაც მეშველიანმა **ვარლამთან** მუშაობა დაიწყო და მან ვარლამი სახლში დაპატიჟა და გადასცა დიდი ზომის ნაქარგი ფეხზე მდგარი ქალის პორტრეტი და თან უთხრა „შენთვის ჩამიბარებია თამარ მეფეო“ (მას ასე ეგონა).

ასეთივე ძიებითა და დაძაბული შრომით შეგროვდა ჩვენს ნეზუმში კოლხური, ა. მაკედონელის, ლიზომახის, ოქტავიანეს, ტრაიანეს და სხვათა ოქროს და ვერცხლის მონეტები. აკვნის სათამაშოებიდან იქნა ჩამოხსნილი მე-4 საუკუნის კოლხური ვერცხლის მონეტა. ასევე დაკარგვას იქნა გადარჩენილი 1971 წელს ანტიკური პერიოდის ცაგერის და 1977 წელს (ნურის ქვევრ-სამარხი) შერეული განძები და სხვა მრავალი.

ჯ. სალინაძე.

ჩვენს რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა შესანიშნავი ქალი,

ლენა ლაჭყეპიანი - ახვლედიანი

დედა, სპეციალისტი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი ლენა დომენტის ასული ლაჭყეპიანი-ახვლედიანი. მართალია, იგი ამ რამდენიმე წლის წინ პენსიაზე გავიდა, მაგრამ ჯერაც სიცოცხლით სავსეს, უშურველი ენერგიის ქალს, სულ სიკეთისათვის შემართულს, ოჯახის მოსიყვარულე დედას და ბებიას ბევრი სასარგებლო საქმის კეთება შეეძლო.

ლ. ლაჭყეპიანი დაიბადა ლეჩხუმის მაზრის სოფელ ტვიში. 1949 წელს დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი.

სხვადასხვა წლებში ლ. ლაჭყეპიანი მუშაობს ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომის მიწის განყოფილების მეთესლეობის საკონტროლო ლაბორატორიის ლაბორანტად, აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების თესლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის აგრონომ-ინსპექტორად, ცაგერის მეთესლეობის ლაბორატორიის აგრონომ-ლაბორანტად, აგრონომ-მეთოდისტად. 1978-1981 წლებში მუშაობდა ცაგერის მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსად.

სადაც კი უმუშავნია, გამოირჩეოდა საქმის ცოდნით, მაღალი პასუხისმგებლობით. მისი ღვაწლი და საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 1971 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდება.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი შესანიშნავი პიროვნება, მეგობარი, ღვაწლმოსილი. რაიონის საზოგადოებაში [illegible] ქალი.

მისი [illegible] ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში. ჩვენს მწუხარებას ვუერთებთ მისი მეუღლის, შვილებისა და შვილიშვილების გულწრფელ ცრემლს.

ქალთა რაიონული საბჭო.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

ფატი გურგუჩიანს
მირიან გვიშიანს

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძძლიერი ოჯახი, შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეთ. გფარავდეთ ღმერთი.

იმედა ჩაჩხიანი, მიხო მახარობლიძე, კობა გურგუჩიანი.

ლამზირა ახვლედიანს
თემურ ცხვედიანს

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული, სიკეთე და სიხარული იყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. გფარავდეთ ღმერთი.

დათო ლეთოდიანი.

გილოცავთ

სულიკო, ჯიმშერ ფოჩხიძეებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სახელოვანი ერისკაცი. ღმერთმა ამრავლოს თქვენს ფუძეზე ძეასულები.

ცაგერის მრავალდარგობრივი საბინაო კომუნალური მეურნეობის თანამშრომლები.

თაიღი, ვაღერი მუშკუდიანებს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. შეძენა, გამრავლება, სიხარული არ მოგაკლოთ ღმერთმა.

ნანი ხაბულიანი, ზაირა სილაგაძე.

თინა, მიხეილ მუშკუდიანებს
თაილი, ვალერი მუშკუდიანებს

გილოცავთ ნანატრი ქალიშვილის—შვილიშვილისა და შვილის შეძენას. ასეთი სიხარული კვლავაც ბევრი გენახოთ!

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის თანამშრომლები.

თაილი ზაურის ასულ სალინაძეს
ვალერი მიშას ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გისურვებთ გაზრდილიყოს სასახელო.

მანანა, ლევან ნემსწვერიძეები, მარინე, ჯემალ ბურჯალიანები.

დედა ლამარა, მამა ზურიკო, ძმა ბადრი, ბიძა გელა, ბიცოლა ქეთინო ქარსელაძეები, ბებია მარიამი, ბიძა გელა, ბიცოლა რუსუდან, დეიდები ციალა, მერი, ნელი, ნარგიზა სილაგაძეები, ბიძები დემურ გულბანი, გურამ ბერიძე, მიშა ბაკურაძე, იუზა უგრეხელიძე, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანთიმოზ (ათო) ზურიკოს ძე ქარსელაძე

დაკრძალვა 9 თებერვალს შაბათს 16 საათზე. სოფ. ღაბორში.

ბიძაშვილები თამარა, ლილი, ნორა ახვლედიანები თანაუგრძნობენ ქორა ახვლედიანს მეუღლის

ლენა ლაჭყეპიანის

გარდაცვალების გამო.

წყალტუბოს მცენარეთა დაცვის სადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ აზა ლიპარტელიანს დედის

ლილი ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

ნაპოლეონ სილაგაძე, გივი ბენდელიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ შიო ლაჭყეპიანის ოჯახს

ლენა ლაჭყეპიანის

გარდაცვალების გამო.

რუბენ კოპალიანი, ვალოდია თოდიძე, შალვა სალინაძე, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლენა დომენტის ასული ლაჭყეპიანი-ახვლედიანი.

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ბიქტორ, ხვიჩა, თამაზ სალინაძეები, აფლატონ, ომარ, მერაბ კოპალიანები, იროდი ბენდელიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ირა და ჯონდო სალინაძეებს დედისა და სიდედრის

ლილი ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

კაკო პირველი, ჯოკია ირემაძე, კუკური გაბიანი, ამირან ონიანი, სოკრატ ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლენა ლაჭყეპიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თინა ქარდავა თანაუგრძნობენ რიტა სალინაძეს ბებიის

ლილი ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის II-ა კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი და მშობლები თანაუგრძნობენ გრიგოლ ახვლედიანს ბებიის

ვასასი ჰილვარიას

გარდაცვალების გამო.

დები მარგო, ლუიზა, ძმები დალოსტი, ელგუჯა, ბიძაშვილი გივი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჟორჟი ბიკენტის ძე სვანიძე.

დაკრძალვა 9 თებერვალს, შაბათს 3 საათზე, ქ. ქუთაისში. გამოსვენება ვაჟა ფშაველას II შესახვევი, №44.

შარდენ გუგავა ოჯახით იუწყება რძლის

ლუბა ალექსანდრეს ასული გამსახურდია-გუგავას

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 7 თებერვალს, ხუთშაბათს, ქ. ცაგერში.

გრიშა, პაწიკო, ზურაბ, მაყვალა, გია ახვლედიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლენა ლაჭყეპიანი

დადაში კოპალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გოჩა ბენიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სოფელ ზუბის ახალგაზრდები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ზუბის საშუალო სკოლის 1982 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მურადი, ვალერი, მამუკა, რამაზ, გია, ავთო ყურაშვილები, ზურია მამარდაშვილი, ავთო მანდარია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე.

დამზადების გაერთიანების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჯოტო სალინაძე, გერონტი ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ბენიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დათო ხეცურიანი, ჯუმბერ ცვარიანი, ზაურ ახვლედიანი, ბახვა კოპალიანი, გელა მამარდაშვილი, კახა ფუტკარაძე, გივი ნემსაძე, ბიკინა დავითულიანი, ქორა სილაგაძე, გივი ქომეთიანი, კოსტა ჩანქსელიანი, გელა ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ცირა ბენდელიანს ძმისშვილის

გოჩა ანზორის ძე ბენიძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე მურადი, შვილი სალომე, დედამთილი გოგუცა, მაზლი თემური, მულები ზისერი, სულიკო, მარინე ბაკურაძეები, ძმები ჯემალი, დათო, გია, დები თამარ, ეთერ ოდილაძეები, სიძეები გიგლა ქვარიანი, ვარდენ გზობავა, გელა გედენიძე, შილი მანანა, რძლები ვარდო, ნუნუ, ლალი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელიკო ტიხონის ასული ოდილაძე-ბაკურაძე.

დაკრძალვა 9 თებერვალს, შაბათს სოფ. სურმუშში.

უახლოესი მეზობლები გუშერი, შიო, მიშა, ბიჭიკო, გიგლა, რეზო, ოთარ, ზაურ, რომან ბენიძეები, შალვა ომანაძე, მურმან ჩაკვეტაძე, ვაჟა კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან

გოჩა ბენიძის

გარდაცვალებას.

ზუბის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ზურაბ ომანაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე.

ავთანდილ, გიგლა უგრეხელიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ქორა, მერაბ, მარინე ახვლედიანებს მეუღლისა და დედის

ლენა ლაჭყეპიანი-ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

მთვარისა, დალი, ბესიკ ხმელიძეები, ნანი ხაბულიანი, გოჩა ჯიაძე, სოზარ თაგვაძე, თენგიზ კოპალიანი, გივი ბენიძე, ზვიად თვარაძე ზაზა მეშველიანი, ვალერი სვანიძე, ვეფხია ბენდელიანი, გულვერ ბახსოლიანი, ნუკრი ხვიჩა, დათო სალინაძეები, სოსო გასვიანი, მერაბ სალინაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ბენიძე.

ცაგერის №91 პროფსასწავლებლის 1984 წლის კურსდამთავრებულები ხათუნა სილაგაძე, ფატი, მურადი ფრუიძეები, ხვიჩა ბენდელიანი, ბაკო შკუბულიანი, გოგი, გია მუშკუდიანები, ბადრი ჩანქსელიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა ბენიძე

სახდაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დალი ბენდელიანს ბიძაშვილის

გოჩა ბენიძის

გარდაცვალების გამო.

მურთაზ სვანიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გოჩა ანზორის ძე ბენიძე.

რუბენ ჭელიძე ოჯახით თანაუგრძნობს თამაზ, დალი, მზია ლეთოდიანებს ბიძაშვილის

ლილი ლეთოდიანის

გარდაცვალების გამო.

მურთაზ თაგვაძე, ლუდუკი ხეცურიანი, ქორიკო სილაგაძე, დათო ლეთოდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლამარა, თამაზ თაგვაძეებს

ვასასი ჰილვარიას

გარდაცვალების გამო.

შიო, დათო, დიტო, ეთერ, ლედი ლაჭყეპიანები, ჰამლეტ, დარეჯან ნემსწვერიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლენა დომენტის ასული ლაჭყეპიანი-ახვლედიანი.

ოლია, ზოია, ვახტანგ, თამაზ ასათიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლენა ლაჭყეპიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.